

„საქნახშირი ჯი-აი-ჯი-“ ში საწარმოო პროცესი მემახტეთა გაფიცვის გამო ნაწილობრივ შეჩერებულია. უნდა აღინიშნოს რომ კომპანიის ადმინისტრაცია არ იყო ინფორმირებული გაფიცვის თაობაზე , სამუშაო პროცესი მიმდინარეობდა ჩვეულ რეჟიმში და არ არსებობდა აქციის წინაპირობა.

აქვე უნდა ითქვას რომ კომპანიის მხრიდან დაცულია ანაზღაურების დროულად მიღების ვადები , დაცულია სახელშეკრულებო პირობები, მემახტეები უზრუნველყოფილნი არიან სადაზღვევო პაკეტით და კომპანიში მუდმივად მიმდინარეობს მემახტეთა შრომით პირობების გაუმჯობესებაზე მუშაობა.

მიუხედავად იმისა რომ საპროტესტო აქციის ობიექტური წინაპირობა არ არსებობდა და არ არსებობს, კომპანიის მენეჯმენტი აწარმოებს კომუნიკაციას აქციის მონაწილეებთან .

15.02.2016

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა.

კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიძიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე.

